

თვის ანგარიში № 01/08



ვის: ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციას,
ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს წევრებს

ვისგან: ი. ხახალეიშვილი – ადს აღმასრულებელი დირექტორი

თემა: იანვრის თვის ანგარიში

თარიღი: 6 თებერვალი 2008

1. ადგილობრივი სიტუაცია

- 5 იანვრის ვადამდელმა საპრეზიდენტო არჩევნებმა მშვიდობიან ვითარებაში ჩაიარა. საერთაშორისო დამკვირვებლებმა არჩევნებს დადებითი შეფასებები მისცეს, თუმცა იყო შენიშვნებიც. საარჩევნო კომისიებში რამდენიმე ასეული საჩივარი შევიდა, თუმცა მათ არჩევნების საბოლოო შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია. არჩევნებში როგორც იცით გაიმარჯვა ყოფილმა პრეზიდენტმა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა. ოპოზიციამ, მიუხედავად მრავალი სიტყვიერი ბრალდებისა, დოკუმენტალურად ვერ დაადასტურა ის დარღვევები, რომლებზედაც ისინი საუბრობდნენ.
- 20 იანვარს თბილისში გაიმართა პრეზიდენტის ინაუგურაციის ოფიციალური ცერემონია, ხოლო 21 იანვარს პრეზიდენტმა ფიცი დადო ქუთაისში, ბაგრატის ტაძარში.

2. განხორციელებული საქმიანობები

- იანვრის თვე საქართველოში არც ისე დატვირთულია, რადგან კალენდარში მრავალი დასვენების დღეა აღნიშნული. იანვრის თვის პირველ ნახევარში სააგენტო ძირითადად მუშაობდა გასული წლის ანგარიშის მომზადებაზე. რომელიც იანვრის თვეში გაეგზავნა სააგენტოს ყველა წევრ ორგანიზაციას, თუმცა შეფასებები და კომენტარები ამ დოკუმენტის შესახებ ჯერჯერობით არ მიგვიღია.
- ასევე გაგრძელდა ტრენინგები, რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდის გამო დროებით იყო შეწყვეტილი.
- იანვრის თვის მეორე ნახევარში სააგენტოს მიერ მომზადებული იქნა პროექტი "არა ტრეფიკინგს", რომელიც წარდგენილი იქნა აშშ საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში. პროექტი ითვალისწინებს საინფორმაციო/საგანმანათლებლო ხასიათის შეხვედრების ორგანიზებას უფროსკლასელთათვის და სტუდენტებისათვის არალეგარული მიგრაციისა და ადამიანთა ტრეფიკინგის საკითხებზე. ასევე გათვალისწინებულია საინფორმაციო კამპანიის წარმოება ქალაქის მასშტაბით აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით. ინფორმაცია პროექტის დაფინანსების თაობაზე ცნობილი გახდება აპრილის თვის დასაწყისში.

- სააგენტოს მიერ ასევე მომზადებული იქნა ახალი საინფორმაციო ბუკლეტი ინგლისურ და ქართულ ენებზე, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის შესახებ ახალი ინფორმაციის გავრცელებას და იმიჯის ამაღლებას.

3. სამომავლო გეგმები

- 12-14 თებერვალს სამუშაო ვიზიტით საქართველოში ჩამოდის ბატონი მარსიალ პერიზი- სააგენტოების ასოციაციის რეგიონალური მენეჯერი. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თბილისსა და ქუთაისში, ასევე ჩატარდება საინფორმაციო შეხვედრები პროექტის "ახალგაზრდობა სწორი მიმართულება" ფარგლებში
- თებერვლის თვეში ასევე სრულდება სატრენინგო პროგრამები და მოხდება ამ პროგრამების შეჯამება.

თვის ანგარიში № 03/08



ვის: ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციას,
ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს წევრებს
ვისგან: ი. ხახალეიშვილი – აღს აღმასრულებელი დირექტორი
თემა: მარტის თვის ანგარიში
თარიღი: 31 მარტი 2008

1. განხორციელებული საქმიანობები

- გასულ თვეში სააგენტო ძირითადად მუშაობდა ახალ პროექტების მომზადებაზე. კერძოდ ახალგაზრდა იურისტებთან და ეკონომისტებთან ერთად მზადდება ახალი საპროექტო ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს რწმუნებულ-გუბერნატორის სამხარეო სამსახურთან ერთად იმერეთის მხარის 6 მუნიციპალიტეტში 2009 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესებში მონაწილეობას. ასევე ამ საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო მოხელეების გადამზადებას და მოსახლეობის ჩართულობის დონის ამაღლებას აღნიშნულ პროცესებში.
- სააგენტო აგრძელებს მუშაობას ესპანურ ორგანიზაციასთან "Biluts Association". პროექტის მიზნია ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამის ორგანიზება ივლისის თვეში, რაც ითვალისწინებს 30-მდე ფრანგი, ესპანელი და რუსი ახალგაზრდის ჩამოვლას საქართველოში. პროექტში ასევე მონაწილეობას მიიღებენ ქუთაისელი ახალგაზრდები.ს პროექტი მომზადების პროცესშია და აპრილის თვეში იქნება დასრულებული.
- დასრულდა ტრენინგების კურსი "საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლებში". ტრენინგების მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები და ასევე სახელმძღვანელო, რომელშიც მოცემულია სხვადასხვა საჭირო და სასარგებლო ინფორმაცია როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის, ასევე ქალთა უფლებების დაცვის შესახებ.
- გასულ თვეში იყო არასასიამოვნო ინფორმაციებიც, კერძოდ არ იქნა დაფინანსებული სააგენტოსა და ქალაქ სტრასბურგის ერთობლივი პროექტი ქუთაისისა და სტრასბურგის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების გაცვლითი ვიზიტების შესახებ. ასევე უარყოფითი პასუხი იქნა მიღებული ამერიკის საელჩოდან ტრეფიკინგის წინააღმდეგ პროექტის დაფინანსების თაობაზე. აღნიშნული პროექტები იქნება გადახედილი და წარედგინებათ სხვა დონორებს.

2. სამომავლო გეგმები

- 8-11 აპრილს ქალაქ პრიედორში (ბოსნია-ჰერცეგოვინა) გაიმართება სააგენტოების ასოციაციისა და სააგენტოების დელეგატთა შეხვედრა. აღნიშნულ შეხვედრაში ადს საქართველოდან მონაწილეობას მიიღებს იოსებ ხახალაიშვილი.
- სააგენტო გააგრძელებს მუშაობას ახალ პროექტებზე, კერძოდ დასრულდება ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამისა და სამხარეო ადმინისტრაციასთან ერთად დაგეგმილი პროექტის მომზადება.



ვის: ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციას,
ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს წევრებს
ვისგან: ი. ხახალეიშვილი – აღს აღმასრულებელი დირექტორი
თემა: აპრილის თვის ანგარიში
თარიღი: 30 აპრილი 2008

1. განხორციელებული საქმიანობები

- როგორც გასული თვის ანგარიშში იქნა აღნიშნული სააგენტო ახალგაზრდა იურისტებთან და ეკონომისტებთან ერთად ამზადებს ახალ საპროექტო ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს რწმუნებულ-გუბერნატორის სამხარეო სამსახურთან ერთად იმერეთის მხარის 6 მუნიციპალიტეტში 2009 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესებში მონაწილეობას. მიმდინარე თვეში პროექტის მომზადების პროცესი შეჩერებული იყო, რაც გამოიწვია წინასაარჩევნო პერიოდმა და იმერეთის მხარის გუბერნატორის შეცვლამ. აღნიშნული პროექტი შეთანხმებული უნდა იქნას ახალ გუბერნატორთან და ამის შემდეგ მასზე მუშაობა გაგრძელდება.
- სააგენტო აგრძელებს მუშაობას ესპანურ ორგანიზაციასთან "Biluts Association". პროექტის მიზნია ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამის ორგანიზება ივლისის თვეში, რაც ითვალისწინებს 30-მდე ფრანგი, ესპანელი და რუსი ახალგაზრდის ჩამოვლას საქართველოში. პროექტში ასევე მონაწილეობას მიიღებენ ქუთაისელი ახალგაზრდებიც. ამ ეტაპზე მიმდინარეობს პარტნიორი ორგანიზაციის მოძიება რუსეთში, რის შემდეგაც უკვე მომზადდება დეტალური სამოქმედო გეგმა და დადგინდება გაცვლითი პროგრამის ზუსტი თარიღი.
- 8-11 აპრილს ქალაქ პრიედორში (ბოსნია-ჰერცეგოვინა) გაიმართა სააგენტოების ასოციაციისა და სააგენტოების დელეგატთა შეხვედრა ერთობლივი პროექტის "ახალგაზრდობა სწორი მიმართულება" ფარგლებში. შეჯამებული იქნა სააგენტოების მიერ პროექტის ეგიდით განხორციელებული საქმიანობები, ასევე გადაწყდა რომ 23-29 ივნისს ქუთაისი უმასპინძლებს თანასწორ განმანათლებელთა 4 დღიან ტრენინგს. მონაწილეობას მიიღებს 20-მდე ახალგაზრდა, მათ შორის 10 უცხოელი მონაწილე სერბეთიდან, ხორვატიიდან, დიდი ბრიტანეთიდან და იტალიიდან. ტრენინგი ჩატარდება ინგლისურ ენაზე და მისი ძირითადი მიზანია ახალგაზრდებს შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბება და ერთობლივი პროექტების მომზადება. მაისის თვიდან დაიწყება ტრენინგის მონაწილეების შერჩევა და სხვა საორგანიზაციო საკითხების მოგვარება.

- აღნიშნულ შეხვედრაში ასევე მონაწილეობდა მშვიდობის კვლევების საერთაშორისო სკოლის წარმომადგენელი შონ ფინანი (ეს სკოლაც პროექტის ერთ-ერთი პარტნიორია). მან გააკეთა განცხადება ახალი ერთობლივი პროექტის შესახებ რომელიც მომზადდება აღდა-სთან ერთად და მისი მიზანი იქნება ქალთა უფლებების დაცვა და საზოგადოებრივ საქმიანობებში მათი ჩართულობის გაზრდა. პროექტში ასევე მონაწილეობას მიიღებს ყველა სააგენტო. წინასწარი შედეგები ცნობილი იქნება ივნისის თვეში.
- აღდამ სააგენტოებთან ერთად ასევე მოამზადა ერთობლივი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი ჟურნალისტების გადამზადებას ევროპის კავშირის გაფართოების საკითხებში, სასწავლო ვიზიტებს და ერთობლივი ქსელის ჩამოყალიბებას. პროექტი წარედგინა ევროკომისიას და წინასწარი შედეგები ცნობილი გახდება ივნისის თვეში.
- 21-27 აპრილს სააგენტოს მიერ თეა კახაძე საქართველოს ინვალიდთა ფედერაციის წევრი გაგზავნილი იქნა ქალაქ გიუმრიში (სომხეთი), სადაც ტარდებოდა კავკასიის ქვეყნების სოციალურ მუშაკთა შეხვედრა. შეხვედრა ორგანიზებული იყო "ახალგაზრდობა მოქმედებაში" პროგრამის ფარგლებში "ევროპის უმცირესობების" და "ახალგაზრდობა მშვიდობისა და განვითარებისათვის" მიერ. ანგარიში აღნიშნული შეხვედრის შესახებ მომზადებული იქნება უახლოეს დღეებში.

2. სამომავლო გეგმები

- 15-16 მაისს ვენაში გაიმართება აღდა-ს გამგეობის სხდომა, რომელზეც არჩეული იქნებიან ახალი წევრები. ადს საქართველოს პარტნიორებიდან წევრობის კანდიდატად დასახელებულია ბატონი დევიდ მეიერი, ნიუპორტის ქალაქის საბჭოს წევრი.
- მაისის თვეში დაიწყება ტრეინინგის მონაწილეების შერჩევა და სხვა ტექნიკური საკითხების ორგანიზება.
- ასევე დაიწყება მომზადება სააგენტოს პარტნიორთა მესამე შეხვედრის მოსამზადებლად, რომლის გამართვაც დაგეგმილია ქუთაისში, ივნისის თვის ბოლოსათვის
- სააგენტო ასევე გააგრძელებს მუშაობას ახალ პროექტებზე.



ვის: ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციას,
ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს წევრებს

ვისგან: ი. ხახალეიშვილი – ადს აღმასრულებელი დირექტორი

თემა: აპრილის თვის ანგარიში

თარიღი: 2 ივნისი 2008

1. განხორციელებული საქმიანობები

- მაისის თვეში სააგენტომ მიიღო დადასტურება დონორებიდან ორი ახალი პროექტის დაფინანსების შესახებ. პირველი მათგანი "აქტიური საქართველო. ქალთა აკადემია", დაფინანსებულია პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ და ხორციელდება "საერთაშორისო ინიციატივების ბიუროს" (ლიდერი ორგანიზაცია კრაკოვი, პოლონეთი), არასამთავრობო ორგანიზაცია "ერთობას" და სააგენტოს მიერ. პროექტის მიზანია მოახდინოს ადგილობრივი დემოკრატიის გაძლიერება და განვითარება და გამოიყენოს ქალთა საზოგადოება, როგორც ერთ-ერთი ძირითადი რესურსი. სწორედ ქალები იქნებიან ჩართულნი პროექტში ადგილობრივი თვითმართელობის გაუმჯობესების მიზნით და მოხდება ახალგაზრდა ლიდერების გადამზადება და მათი ორგანიზაციული უნარ-ჩვევების ამაღლება შემდეგ საკითხებში:
 - ადგილობრივი თვითმართელობის ფუნქცია და როლი დაფუძნებული პოლონელი კოლეგების გამოცდილებაზე, საუკეთესო პრაქტიკული მაგალითები და მმართველობითი უნარ-ჩვევების დახვეწა;
 - პოლიტიკური მარკეტინგის საკითხები და კამპანიის წარმართვა;
 - ევროპის ფონდები და რესურსები, პრაქტიკული უნარები და სავარჯიშოები.

ამ საკითხებს მოიცავს კრაკოვის აკადემიური კურსი, რომელიც 7-დან 17 სექტემბრამდე გაგრძელდება.

პროექტი "სასწავლო სემინარი კულტურათაშორის დიალოგზე" დაფინანსებულია ევროკომისიის პროგრამის "ახალგაზრდობა მოქმედებაში" პროგრამის ფარგლებში და მიზნად ისახავს კულტურათაშორის დიალოგზე სასწავლო სემინარის ჩატარებას ქალაქ ბაქოში მიმდინარე წლის ნოემბერში. სემინარი ორგანიზებულია ევროკავშირის ახალგაზრული თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ და მასში მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდები შემდეგი ქვეყნებიდან: ლიტვა, აზერბაიჯანი, ესტონეთი, უკრაინა, უნგრეთი, საქართველო, მოლდოვა, საფრანგეთი, ესპანეთი, თურქეთი და რუსეთი. სააგენტოს როგორც პროექტის პარტნიორ ორგანიზაციას აქვს უფლება წარმოდგენილი იქნას 4 მონაწილით. სემინარის მიზანია:

ხელი შეუწყოს ევროპის კულტურათაშორის დიალოგის წარმართვას;

- განავითაროს თანამშრომლობა და დაამყაროს (მოამზადოს) ძლიერი პარტნიორული ურთიერთობები;

- მოხდეს ინფორმაციულობის გაზრდა განხსვავებულ კულტურული საზოგადოების წარმომადგენლებს შორის, საერთო საწყისების მოძებნა და გაცნობიერება;
- გააცნობიეროს ის გზები და საშუალებები, რომელიც დაგვეხმარება შევებრძოლოთ კულტურულ ტენდენციონიზმს;
- წარადგინოს პროექტი „ახალგაზრდობა მოქმედებაში“, როგორც ახალგაზრდებთან მუშაობის პრაქტიკული საშუალება კულტურის, თანასწორობისა და აქტიური თანამონაწილეობის საკითხებზე მუშაობისას.
- 16 მაისს ქ. ვენაში, გაიმართა „ადსას“ გენერალური ასამბლეის სხდომა, რომელმაც აირჩია ახალი მმართველი საბჭო და ბიუროს წევრები. მმართველი საბჭოს ახალი შემადგენლობა არჩეულია 4 წლის ვადით და მისი წევრები არიან:

ბიურო:

პერ ვინტერი პრესიდენტი (დანია)

დობრიცა მილოვანოვიჩი, ვიცე-პრეზიდენტი (ქ. კრაგუევაჩი, სერბეთი),

ბერნარდო ნოტარანგელო, ვიცე-პრეზიდენტი (პულიას რეგიონი, იტალია)

როჯერ ლოურენსი, ხაზინადარი (ვოლვერჰამპტონის ქალაქის საბჭო, გაერთიანებული სამეფო)

იმისლავა გორსკა, მდივანი (ქ. ბიდგოშის მუნიციპალიტეტი, პოლონეთი)

მმართველი საბჭოს სხვა არჩეული წევრები:

ჯულია მ. ტონდო (ფრიულის რეგიონი, იტალია)

ორიანო ოტოკანი (ისტრიის რეგიონი, ხორვატია)

ლუჩიო გრეგორეტი, (მონფალკონე, იტალია – ადს საქართველოს პარტნიორი)

ჯესუს სოლა სე ვილლა (ასაელი, ესპანეთი)

პაულა რაუზანი, ადს სისაკი (ხორვატია) წარმოდგენილია როგორც ადს საკონსულტაციო კომიტეტის წარმომადგენელი.

სააგენტოების ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტი ბატონი ჯანფრანკო მარტინი არჩეულ იქნა საპატიო პრეზიდენტად.

გენერალური ასამბლეის სხდომაზე, ახლად დანიშნულმა პერ ვინტერმა მადლობა მოახსენა ყოფილი მმართველი საბჭოს წევრებს გაწეული მუშაობისთვის. „ადსას“-ს პროგრამა წარადგინა ანტონელა ვალმორბიდამ, "ადსას"-ს დირექტორმა და გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა სამოქმედო გეგმა, რომელიც მიმართული იქნება:

1. მხარი დაუჭიროს ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოებს აღმოსავლეთ ევროპაში და კავკასიაში;
2. ევროპის აქტიური მოქალაქეობის მხარდაჭერა;
3. კვლევითი საქმიანობების განვითარება აღმოსავლეთ ევროპის სხვა რეგიონებში;
4. ორგანიზაციის გაძლიერება;
5. ძირითადი ყურადღება მიექცეს იმ საქმიანობებს, რომლებიც ტექნიკურ მხარდაჭერას ეხება;
6. ევროპულ ორგანიზაციებთან კონტაქტების დამყარება და განვითარება.

როგორც ყოველ წელს, კონგრესმა და „ადსა“-მ, გასცა სერთიფიკატები ადგილობრივი მთავრობებისათვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პიროვნებებისადმი, რომელნიც, როგორც წევრები შეუერთდნენ ასოციაციას. ამ ორგანიზაციებს შორის იყო ნიუპორტი-ქუთაისის ასოციაცია – ადს საქართველოს პარტნიორი ორგანიზაცია. ჩვენ ვიყენებთ ამ შესაძლებლობას და ვულოცავთ მათ.

- ესპანურ ორგანიზაციასთან "Biluts Association"-თან დაწყებული პროექტი სამწუხაროდ შეწყდა, რადგან ესპანურმა ორგანიზაციამ ვერ შეძლო რუსეთში პარტნიორი ორგანიზაციის მოძებნა, რამაც ხელი შეუშალა პროექტის ვადებში წარდგენას.
- იენისის თვიდან აგვისტოს თვის ბოლომდე სააგენტოში სტაჟირებაზე იმყოფება ეველიენ კლაივერი. ის არის უტრეხტის უნივერსიტეტის კოლეჯის სტუდენტი ჰოლანდიიდან. აქ ის ძირითადად იმუშავებს ახალგაზრდული პროექტების მომზადებასა და კავშირების დამყარებაზე.

2. სამომავლო გეგმები

- 24-28 იენისს თანასწორ განმანათლებელთა ტრენინგის მომზადება.
- კრაკოვში ქალთა აკადემიის მონაწილეთა შერჩევა
- ახალ პროექტებზე მუშაობა.



ვის: ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია,
ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს წევრებს

ვისგან: ი. ხახალეიშვილი – ადს აღმასრულებელი დირექტორი

თემა: ივნისის თვის ანგარიში

თარიღი: 4 ივლისი 2008

1. განხორციელებული საქმიანობები

- საანგარიშო პერიოდში სააგენტოს მიერ შერჩეული იქნა პროექტის "აქტიური საქართველო. ქალთა აკადემია" მონაწილეები. შეგახსენებთ, რომ პროექტი დაფინანსებულია პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ და ხორციელდება "საერთაშორისო ინიციატივების ბიუროს" (ლიდერი ორგანიზაცია კრაკოვი, პოლონეთი), არასამთავრობო ორგანიზაცია "ერთობას" და სააგენტოს მიერ. პროექტის მიზანია ქალთა საზოგადოების აქტიურობის ამაღლება ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროცესში. სულ ქუთაისში შემოსული იქნა 32 განაცხადი, საიდანაც შერჩეული იქნა 9 ქალბატონი. პროექტის მოთხოვნების შესაბამისად ჯგუფში არიან წარმომადგენლები, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე არასამთავრობო სექტორიდან. კერძოდ:
 1. ხათუნა ცანავა – ქუთაისის ახალგაზრდული დეპარტამენტის ხელმძღვანელი
 2. ქეთევან დეისაძე – მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
 3. თეონა ზაქარაშვილი – ქალაქის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომიტეტის იურისტი
 4. ინგა ბოჭოიძე - ქალაქის საკრებულოს მთავარი სპეციალისტი
 5. ელენე ბერეკაშვილი – იმერეთის გენდერული ცენტრის ხელმძღვანელი
 6. ნანა ჩაფიძე – ადამიანის უფლებათა ცენტრის კოორდინატორი
 7. თეა ნუცუბიძე - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს დირექტორის ასისტენტი
 8. ლელა ქელბაქიანი – ქუთაისის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის რექტორი
 9. მაკა ხეცურიანი – ა/ო "ქალები რეგიონალური განვითარებისთვის" ხელმძღვანელი

მონაწილეებმა უკვე მიიღეს დადასტურება პოლონური მხრიდან და უახლოეს დღეებში დაიწყება ვიზისა და მგზავრობის საკითხების მომზადება. აგვისტოს თვეში ქუთაისში ვიზიტით ჩამოვა "საერთაშორისო ინიციატივების ბიუროს" წარმომადგენელი სლაგომის სვოლარსკი, რომელიც შეხვდება პროექტის მონაწილეებს და ასევე მოხდება პროექტის განხორციელების დეტალური გეგმის შედგენა.

- ივნისის თვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმიანობა იყო თანასწორ განმანათლებელთა ტრენინგი, რომელიც ორგანიზებული იქნა

სააგენტოების ასოციაციის, სააგენტოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ. ტრენინგში სულ მონაწილეობა მიიღო 20 ახალგაზრდამ, მათ შორის ხორვატიიდან, სერბეთიდან, იტალიიდან, ჩრდილოეთ ირლანდიიდან, საფრანგეთიდან და საქართველოდან. ეს იყო პირველი საერთაშორისო ტრენინგი ევროკომისიის პროგრამის “ახალგაზრდობა მოქმედაბაში” ფარგლებში, რომელიც ინგლისურ ენაზე ჩატარდა და რომელსაც უმასპინძლა ქუთაისმა. ტრენინგის ძირითადი მიზანი იყო “ახალგაზრდობა სწორი მიმართულება” პროექტის ფარგლებში მონაწილეების, როგორც ახალგაზრდა ელჩების გადამზადება; არაფორმალური განათლების მეთოდებით მონაწილეებისათვის სხვადასხვა უნარ-ჩვევების შესწავლა; ერთობლივი პროექტების მომზადება და მათი წარდგენა დაფინანსებაზე. ტრენინგის მონაწილეები ასევე შეხვდნენ ქალაქის მერს ბატონ ნუგზარ შამუგიას, ვიცე მერს ბატონ დავით გორდელაძეს და ახალგაზრდობის საქმეების დეპარტამენტის ხელმძღვანელს ქალბატონ ხათუნა ცანავას. ქალაქის თვითმმართველობის სახელით ასევე გაიმართა ოფიციალური მიღება და ყველა მონაწილე დაჯილდოვდა სამახსოვრო საჩუქრებით. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ როგორც სააგენტოების ასოციაციის, ასევე სააგენტოს და პირადად ჩემი სახელით მადლობა გადავუხადო ადგილობრივ თვითმმართველობას საერთაშორისო ტრენინგის ორგანიზების საქმეში გაწეული აქტიური დახმარებისათვის.

- იენისის თვეში სააგენტოების ასოციაციასთან ერთად სააგენტო ასევე მუშაობდა ევროკომისიის საქართველოს დელეგაციის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის “არასახელმწიფო აქტიორები და ადგილობრივი თვითმმართველობა” ფარგლებში ახალი პროექტის მომზადებაზე. პროექტის მიზანია “აქტიური მოქალაქეობის” დონის ამაღლება ქუთაისში და მასში სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურებისა და მოსახლეობის ჩართვა. პროექტის წარდგენის თარიღია 15 ივლისი.

2. სამომავლო გეგმები

- ევროკომისიის საქართველოს დელეგაციის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსზე მუშაობა.
- ტრენინგის ანგარიშის მომზადება.
- ახალ პროექტებზე მუშაობა.



ვის: ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია,
ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს წევრებს

ვისგან: ი. ხახალეიშვილი – ადს აღმასრულებელი დირექტორი

თემა: აგვისტო-სექტემბრის თვეების ანგარიში

თარიღი: 1 ოქტომბერი 2008

1. ადგილობრივი სიტუაცია

- აგვისტოს თვეში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანწილად შეცვალა სიტუაცია როგორც ქვეყანაში ასევე ქალაქ ქუთაისშიც. ომის პირველ დღეებში ქუთაისში დაახლოებით 3000-მდე იძულებით გადაადგილებული პირი ჩამოვიდა, როგორც კოდორის ხეობიდან ასევე გორისა და ცხინვალის რაიონებიდან. უნდა აღინიშნოს რომ მიუხედავად მრავალი სირთულისა ქალაქის თვითმმართველობამ, არასამთავრობო სექტორმა, ბიზნესმენებმა და ზოგადად მთლიანმა მოსახლეობამ შეძლო ლტოლვილთათვის თავშესაფარისა და საკვების სისტემატიური მიწოდების ორგანიზება. ქალაქში შეიქმნა ლტოლვილთა საკითხების საკოორდინაციო შტაბი, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართული სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, მათ შორის ადს საქართველო. ერთობლივი ძალისხმევით მოხერხდა ლტოლვილთათვის სხვადასხვა სახის დახმარებისა და შემწვობების ორგანიზება, ლტოლვილთა გარკვეული ნაწილი უკვე დაუბრუნდა თავიანთ საცხოვრებელ ადგილს, თუმცა დღეისათვის 600-მდე ლტოლვილი (ძირითადად კოდორის ხეობის მოსახლეობა) ისევ რჩება ქალაქში და ალბათ ზამთრის პერიოდშიც აქ დარჩებიან. დღეისათვის ძირითად პრობლემას წარმოადგენს ლტოლვილთა დროებითი თავშესაფრების მომზადება ზამთრის პერიოდისათვის. ის შენობები რომლებშიც ლტოლვილები ცხოვრობენ არის არასაცხოვრებელი შენობები და იქ არსებული ელექტრო, წყლის თუ საკანალიზაციო სისტემები არ არის გათვლილი ასეთი დატვირთული მოხმარებისათვის. ამიტომ ეს საკითხები ზამთრის დადგომამდე უნდა იქნეს გადაჭრილი. სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო თანხების მოძიებაში ადგილობრივ ხელისუფლებას დაჭირდება საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა და აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ გადაუხადო მადლობა ყველა იმ ადამიანს ვინაც გულთან მიიტანა ჩვენი მოსახლეობის გასაჭირი და დაეხმარა მათ ასეთ რთულ პერიოდში.

2. გაწეული საქმიანობა

- როგორც ზემოთ ავღნიშნე, სააგენტო აქტიურად მონაწილეობდა ლტოლვილთა საკოორდინაციო შტაბის საქმიანობაში. კონკრეტულად სააგენტოს მიერ შეძენილი იქნა 2000 ცალი პოლიეთილენის პარკი სურსათის დასარიგებლად; 4 სხვადასხვა თავშესაფარში მცხოვრები ლტოლვილთათვის ორგანიზებული იქნა საკვების დარიგება 2 დღის

განმავლობაში; ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დასავლეთ საქართველოს დეპარტამენტს გაეწია დახმარება სურსათის გადანაწილებასა და დარიგებაში; ვარციხეში მცხოვრები ლტოლვილებისათვის, მათი თხოვნის საფუძველზე შეძენილი იქნა ფერადი ტელევიზორი; სააგენტომ ასევე დაარიგა კბილის პასტები და ჯაგრისები, რომლების მოწოდებული იქნა ნიუპორტ-ქუთაისის ასოციაციის წევრის ქალბატონ სონია ფიშერის მიერ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადაუხადო მას.

- ქუთაისში მცხოვრები ლტოლვილების დახმარების საკითხში აქტიურად ჩაერთო სააგენტოების ასოციაცია. ასოციაციის პრეზიდენტმა ბატონმა პერ ვინტერმა ოფიციალური წერილით მიმართა საქართველოს მუდმივ წარმომადგენელს ევროპის საბჭოში ბატონ ზურაბ ჭიაბერაშვილს. წერილში მან გამოხატა ასოციაციის მხარდაჭერა ქართული სახელმწიფოს მიმართ და მიმართა ასოციაციის წევრებს აქტიურად ჩართულიყვნენ ქუთაისში მცხოვრები ლტოლვილების დასახმარებლად თანხების შეგროვების კამპანიაში. ეს აქცია ოფიციალურად იხსნება 1 ოქტომბერს, სტრასბურგში. ამავე დღეს სტრასბურგში, ევროპის საბჭოს შენობაში ასოციაცია აწყო პრესკონფერენციას რომელშიც პირდაპირი ჩართვის რეჟიმში სააგენტოს ოფისიდან მონაწილეობას მიიღებს ქალაქ ქუთაისის მერი ბატონი ნუგზარ შამუგია. ეს ფაქტი ნათლად მიუნიშნებს რომ სააგენტოების ასოციაცია და სააგენტო მზად არის გამოიყენოს არსებული რესურსები ლტოლვილთა დასახმარებლად.
- რაც შეეხება სხვა საქმიანობებს. ქვეყანაში არსებული სიტუაციის გამო გადადებული იქნა პროექტის "აქტიური საქართველო. ქალთა აკადემია" მონაწილეების გამგზავრება პოლონეთში. შეთანხმებისამებს ეს ვიზიტი შედგება 3-12 ნოემბერს.
- არსებული სიტუაციის გამო თურქეთის ქალაქ კონიაში ვერ გაემგზავრა 5 ახალგაზრდა, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ გაცვლით პროგრამაში "ევრო-კავკასიური კულტურული სამყარო". სამწუხაროდ პროექტის გადადება ვერ მოხერხდა და ის ქართველი მონაწილეების გარეშე ჩატარდა
- 7-15 აგვისტოს ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით ესმა ნაჭყებიაძე, რომელიც არის "ახალგაზრდა ელჩი" პროექტის "ახალგაზრდობა სწორი მიმართულება" ფარგლებში, მონაწილეობა მიიღო ტრენინგში "ახალგაზრდობის თანამშრომლობის ახალი მოდელები" რომელიც გაიმართა აზერბაიჯანის ქალაქ ლენქორანში. ტრენინგი 6 დღე გრძელდებოდა, ჩასვლისა და უკან წამოსვლის დღეების ჩათვლით. მონაწილეთა შორის იყვნენ წარმომადგენლები ევროპის ქვეყნებიდან, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპიდან და ბალტიის ქვეყნებიდან: გერმანია, ავსტრია, პოლანდია, ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, პოლონეთი, თურქეთი, უკრაინა, საქართველო და აზერბაიჯანი. ახალგაზრდულ საქმეთა მუშაკები, სულ 28 ახალგაზრდა 18-დან 25 წლის ასაკის ჩათვლით, რომლებიც ჩართულნი არიან და მონაწილეობენ ადგილობრივ ასოციაციებში, ახალგაზრდულ კლუბებში, ახალგაზრდულ ინიციატივებსა და საბჭოებში. მისი

მონაწილეობის ხარჯების დაფარული იქნა აზერბაიჯანის ახალგაზრდობის და სპორტის სამინისტროს და სააგენტოს მიერ.

- ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით 21-24 აგვისტოს, კიევში გამართულ კონფერენციაში “ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვის ევროპული სტანდარტები” მონაწილეობა მიიღო ქუთაისის ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ვასილ ფარცხალაძემ. კონფერენციაში მონაწილეობას დასწრეობდნენ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების წარმომადგენლები, დაახლოებით 60-მდე მონაწილე. კონფერენციის ძირითადი მიზანი იყო ევროპული გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების საკითხებში, ერთობლივი პროექტებისა და საქმიანობების დაგეგმვა და განხორციელება.
- 26 აგვისტოს თეა ნუცუბიძემ, სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორის ასისტენტმა, მონაწილეობა მიიღო ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრაში დიეგო პინტოსთან, ევროპის ახალგაზრდული ფორუმის გენერალურ მდივანთან. შეხვედრა იყო თემაზე „საქართველო-რუსეთი: ბავშვები და ახალგაზრდები იმსახურებენ მშვიდობას“. ბატონმა პინტომ თავისი ვიზიტით კიდევ ერთხელ დაადასტურა ევროპელი ახალგაზრდების მორალური და ფიზიკური თანადგომა ქართველი ახალგაზრდებისადმი. მან ბრძანა, რომ ევროპელი ახალგაზრდები მწუხარებას გამოთქვამენ რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბული პოლიტიკური სიტუაციის გამო, იზიარებენ იმ ტკივილს რაც მოჰყვა ამ კონფლიქტს და მოუწოდებენ ქართველ და რუს ლიდერებს, რომ კრიზისი მშვიდობიანი გზით მოაგვარონ.
- 30 ოქტომბერს სააგენტოს პარტნიორ ქალაქ მონფალკონეში გაიმართება სააგენტოს წევრთა საერთო კრება. კრებაზე მოსმენილი იქნება აღმასრულებელი დირექტორის ანგარიში გაწეული სამუშაოს შესახებ, დამტკიცებული იქნება სააგენტოს წესდება და არჩეული იქნება სააგენტოს გამგეობა. დღის წესრიგში ასევე შეტანილია ქუთაისში მცხოვრები ლტოლვილებისათვის დახმარების გაწევის საკითხი. ოფიციალური მოწვევა და დღის წესრიგი გამოგზავნილი იქნება მომდევნო კვირაში. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ვთხოვო სააგენტოს წევრებს მოგვაწოდონ ინფორმაცია მონაწილეობის შესახებ.



ვის: ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციას,
ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს წევრებს
ვისგან: ი. ხახალეიშვილი – ადს აღმასრულებელი დირექტორი
თემა: ოქტომბერი-ნოემბერი თვეების ანგარიში
თარიღი: 30 ნოემბერი 2008

1. ადგილობრივი სიტუაცია

- აგვისტოს მოვლენების შემდეგ სიტუაცია ქუთაისში და მთლიანად ქვეყანაში შედარებით დამშვიდდა. ახალი დევნილების რაოდენობამ ქუთაისში იკლო, თუმცა ქალაქში დღეისათვის ისევ რჩება 180-მდე დევნილი ოჯახი. ხელისუფლების გადაწყვეტილებით, დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, ქუთაისში გამოყოფილი იქნა 3 შენობა სადაც ჩატარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოხდება დევნილთა კომპაქტურად განსახლება. აღნიშნული შენობების სარეაბილიტაციო თანხები გამოყოფილი იქნა ცენტრალური ბიუჯეტიდან. დღეისათვის მნიშვნელოვან საჭიროებას დევნილთათვის წარმოადგენს გათბობისა და სარეცხი მოწყობილობები. წერილი აღნიშნული საკითხების შესახებ ქალაქის მერის სახელით უკვე გაეგზავნა სააგენტოების ასოციაციას და გადაეგზავნება ასოციაციის წევრებს.

დევნილთა საკოორდინაციო საბჭო ისევ აგრძელებს მუშაობას. მას ხელმძღვანელობას უწევს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარის ქუთაისის ოფისი, რომელიც ნოემბრის თვიდან ფუნქციონირებს ჩვენს ქალაქში.

რაც შეეხება პოლიტიკურ სიტუაციას, ის ისევ დაძაბულია. რუსების საოკუპაციო ძალები ისევ აკონტროლებენ ახალგორის რაიონს, კოდორის ხეობასა და სოფელ პერეფს, რაც არის სარკოზი-მედვედევის შეთანხმების უხეში დარღვევა.

2. გაწეული საქმიანობები

- 2008 წლის 12-19 ოქტომბერს, ქ. ბუდაპეშტში, უნგრეთი, ევროპის ახალგაზრდულ ცენტრში ჩატარდა ტრენინგი თემაზე „განათლება ადამიანთა უფლებების შესახებ ბავშვებთან მიმართებაში სახალხო დამცველის ოფისების და ბავშვთა უფლებების დამცველი ორგანიზაციებისთვის“. „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს“ და ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრის (პროექტის „ახალგაზრდობა სწორი მიმართულება“ ფარგლებში) ხელშეწყობით, ქუთაისიდან სემინარს ესწრებოდა თამარ კეპულაძე, სახალხო დამცველის ქუთაისის ოფისის წარმომადგენელი. ტრენინგ-კურსმა 25 მონაწილეს მოუყარა ერთად თავი.

ტრენინგ-კურსი შემდეგ საკითხებს მოიცავდა:

- „კომპასიტოს“ (სახელმძღვანელო ადამიანთა უფლებების შესახებ ბავშვებთან მიმართებაში) გაცნობა და მისი გამოყენება როგორც ერთ-ერთ მეთოდი ბავშვებთან ურთიერთობისას, როდესაც საქმე ადამიანთა უფლებების შესახებ განათლებას შეეხება;
- მონაწილეთა ცოდნის გაღრმავება ადამიანთა უფლებების ძირითად საკითხებზე;

- „კომპასიტოს“ საქმიანობები და ძირითადი მიდგომები და თუ როგორ შეიძლება ევროპული ქსელის განვითარება, რომელიც ძირითადად იმ პროფესიონალი კადრებისაგან შედგება, რომლებიც ბავშვებთან ადამიანთა უფლებების საკითხებზე მუშაობენ.

ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები და „კომპასიტოს“ აკრედიტაცია ტრენინგების მოწყობის ნებართვაზე.

- 30 ოქტომბერს ქალაქ მონფალკონეში, იტალია, გაიმართა სააგენტოს წევრთა მესამე საერთო კრება და გამგეობის სხდომა. მოსმენილ იქნა სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორის მოხსენება გაწეული საქმიანობის, სამომავლო გეგმებისა და პროექტების შესახებ. მიღებულ იქნა სააგენტოს წესდების ახალი რედაქცია. არჩეულ იქნა გამგეობის ახალი შემადგენლობა. დეტალური ინფორმაცია საერთო კრებისა და გამგეობის სხდომის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ დანართებში 1 და 2.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართა ოფიციალური შეხვედრა მონფალკონეს ვიცე-მერთან ქალბატონ სილვია ალტრანთან. შეხვედრას ესწრებოდნენ ფრიული-ვენეცია ჯულიას რეგიონის წარმომადგენელი სანდრო პერელი, სააგენტოების ასოციაციის პრეზიდენტი პერ ვინტერი, ქალაქ ქუთაისის მერი, ბატონი ნუგზარ შამუგია, ქალაქ თბილისის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, ბატონი აკაკი სეფერთელაძე; ქალაქ ნიუპორტის საბჭოს წევრი, ბატონი დევიდ მეიერი; სტრასბურგის ვიცე-მერი ქალბატონი ნაველ რაფიკ-ელმინი და სააგენტოს სხვა წევრები. შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ დაიწყება მუშაობა თანამშრომლობის პროექტზე იტალიურ და ქართულ მხარეებს შორის, რომელიც დასაფინანსებლად წარედგინება ფრიული-ვენეცია ჯულიას რეგიონს. ქალაქ მონფალკონეს და სტრასბურგის წარმომადგენლებმა ასევე მიიღეს შეთავაზება ბატონი ნუგზარ შამუგიასაგან ქალაქებს შორის დაძმობილების შესახებ. ასევე მიღებულ იქნა ბატონი ნუგზარის შეთავაზება სააგენტოს წევრთა მეოთხე კრების ქუთაისში ჩატარების შესახებ.

- 2008 წლის 12 ნოემბერს, ადს საქართველოს ოფისში სტუმრად იმყოფებოდა ქ-ნი როზმარი ბატლერი, უელსის პარლამენტის ვიცე-სპიკერი. „ადს საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა მას მიაწოდა ინფორმაცია ორგანიზაციის პრიორიტეტების, დასრულებული და მიმდინარე პროექტების შესახებ. მან აღნიშნა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში ადს საქართველოს მონაწილეობის შესახებ. დამატებით, მიაწოდა ინფორმაცია ქუთაისში, 2008 წლის ივლისში „ადს საქართველოს“ მიერ ჩატარებული ახალგაზრდული ტრენინგის შესახებ. მისი მონაწილეები აქტიურად არიან და იქნებიან ჩაბმული პროექტის „ახალგაზრდობა სწორი მიმართულება“ ფარგლებში. ისინი ვაღდეულები არიან, თავიანთი გამოცდილება გაუზიარონ ადგილობრივ ახალგაზრდებს და დაეხმარონ მათ, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ახალგაზრდულ გაცვლით პროგრამებში. „ადს საქართველოს“ ხელმძღვანელი სხვა ორგანიზაციულ საკითხებსაც შეეხო. შეხვედრისას, ქ-ნი ბატლერი, შემდეგი საკითხებით დაინტერესდა:

- დაუფინანსებელი პროექტები
- ადს საქართველოს წევრთა უფლება-მოვალეობანი და როგორ არიან ისინი ჩართულნი ადს საქართველოს საქმიანობებში და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში
- დევნილები სამხრეთ ოსეთიდან და რა დახმარება გაუწია მათ ადს საქართველომ
- ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორები და მათი ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

შეხვედრის ოფიციალური ნაწილის დასრულებისას, ქ-ნ როზმარი ბატლერს ადს საქართველოს სახელით სამახსოვრო საჩუქარი გადაეცა.

- სემინარში „კულტურათაშორის დიალოგი“, რომელიც კონტაქტების დამყარებას უწყობს ხელს, „ადს საქართველო“ ერთ-ერთ პარტნიორ ორგანიზაციას წარმოადგენდა. აღნიშნული სემინარი გაიმართა ქ. ბაქოში, აზერბაიჯანი, ა.წ. 4-8 ნოემბერს. მასში მონაწილეობდნენ წარმომადგენლები ლიტვიდან, აზერბაიჯანიდან, უკრაინიდან, ესტონეთიდან, უნგრეთიდან, საქართველოდან, მოლდოვადან, საფრანგეთიდან, ესპანეთიდან, თურქეთიდან და რუსეთიდან. პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს იდეების, სტრატეგიების და კონცეფციების გაზიარება, ახალგაზრდობის აქტივობის გაღრმავება სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარების პროცესში. პროექტის სხვა მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ახალი კონტაქტების დამყარება სემინარის მონაწილეთა მიერ, რათა პარტნიორობა ქსელი შეიქმნას.
ადს საქართველოდან სემინარში სამი წარმომადგენელი მონაწილეობდა. სემინარის შედეგები შემდეგ კონცეპტუალურ პროექტებში აისახება:
ა) „დისკრიმინაცია და უმცირესობები“ - იქნება კონტაქტების დასამყარებელი სემინარი, რომელშიც წარმოდგენილი იქნებიან მონაწილეები შემდეგი ქვეყნებიდან: საფრანგეთი, სასომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, საქართველო, ლიტვა და ესტონეთი. ამ პროექტის აპლიკანტი იქნება ფრანგული ორგანიზაცია "Association A.M.S.E.D."
ბ) „საქორწილო ტრადიციები“ - იქნება ახალგაზრდების გაცვლითი პროექტი, რომელშიც წარმოდგენილი იქნებიან მონაწილეები შემდეგი ქვეყნებიდან: ესტონეთი, მოლდოვა, უკრაინა, საქართველო, ლიტვა და პოლონეთი. ამ პროექტის აპლიკანტი იქნება ესტონეთი. საქართველო იქნება მასპინძელი ქვეყანა.
გ) „არ დაწვით ხიდები“ - ესეც ახალგაზრდების გაცვლითი პროექტია, რომელშიც წარმოდგენილი იქნებიან მონაწილეები შემდეგი ქვეყნებიდან: საფრანგეთი, მოლდოვა, რუსეთი, საქართველო, უკრაინა, პოლონეთი, აზერბაიჯანი, ესტონეთი და ლიტვა. საქართველო იქნება მასპინძელი ქვეყანა. პროექტის აპლიკანტი ქვეყანა ჯერ ძიების პროცესშია.
ყველა ზემოთაღნიშნული პროექტი წარდგენილი იქნება 2009 წლის 1 თებერვლამდე.
- ა.წ. 18-დან 23 ნოემბრამდე, სამხრეთ კავკასიაში (აზერბაიჯანი, საქართველო და სასომხეთი) ადს-მ კვლევითი ვიზიტი განახორციელა. სტუმრები, პერ ვინტერი, „ადსას“ პრეზიდენტი, სრდჯან სვიიჩი, ევროკავშირის პოლიტიკის ოფიცერი საქართველოს იმ მიზნით ესტუმრნენ, რომ გაეძლიერებინათ მიმდინარე პროგრამები, რომელთაც „ადს საქართველო“ ახორციელებს. აგრეთვე, ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა თანამონაწილეებთან შეხედრა აზერბაიჯანსა და სასომხეთში იმ მიზნით, რომ ფაქტების შესწავლის საფუძველზე, გაიხსნას ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოები ამ რესპუბლიკებშიც.
20 ნოემბერს, თბილისში, ბატონები პერ ვინტერი, სრდჯან სვიიჩი და იოსებ ხახალეიშვილი შეხვდნენ ევროსაბჭოს დელეგაციის ხელმძღვანელს საქართველოში, ბატონ პერ ეკლუნდს, აგრეთვე ევროსაბჭოს განყოფილების უფროსს საგარეო საქმეთა სამინისტროდან, ქ-ნ ნინო ნაკაშიძეს, ფინეთის ელჩს, რომელიც უფლებამოსილია სასომხეთზე, აზერბაიჯანსა და საქართველოზე, ბ-ნ პეტრი სალოს, ქ. თბილისი ვიცე-მერს, ბ-ნ ნიკოლოზ ხიჩინაშვილს, „კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტის“ პროგრამების დირექტორს, ბ-ნ დავით ლოსაბერიძეს, „საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში დიალოგის“ პროექტის კოორდინატორს ფრიდრიხ ნაუშმანის ფონდიდან, ქ-ნ

ქეთევან ციხელაშვილს, „CIMS კონსალტინგის“ დამფუძნებელს; ქ-ნ მანანა სალუქვაძეს და „დემოკრატიისა და განვითარების ფონდის“ ხელმძღვანელს, ბ-ნ გიორგი მარგველაშვილს. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა „ადს საქართველოს“ საქმიანობათა წარმოჩენა სააგენტოს პარტნიორთა ქსელის გაფართოების მიზნით საქართველოში. ბაქოსა და ერევანში სტუმრობა კი აზერბაიჯანსა და სასომხეთში 2009 წლისთვის მოსამზადებელ ვიზიტებს ემსახურებოდა. ამ ვიზიტების მიზანი იქნება აზერბაიჯანისა და სასომხეთის ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრა სამიზნე მუნიციპალიტეტებში, სადაც სამომავლოდ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოები უნდა გაიხსნას. ზემოთაღნიშნული ვიზიტების მოსამზადებელი საქმიანობები უკვე ხორციელდება.

- 3-დან 13 ნოემბრამდე, ქ. კრაკოვში, პოლონეთი, პროექტი „აქტიური საქართველო. ქალთა აკადემია“ განხორციელდა. ის ორგანიზებული იყო „საერთაშორისო ინიციატივების ბიუროს“ და საქართველოდან პარტნიორი ორგანიზაციების „ადს საქართველო“ და ა/ო „ერთობა“ ხელშეწყობით. პროგრამა „პოლონეთის დახმარების“ ფარგლებში ჩატარდა. მთავარი ფასილიტატორი და პროექტის ხელმძღვანელი გახლდათ ბ-ნი სლავომირ სტოლარსკი.

საქართველოდან პროექტში 20 ქალი მონაწილეობდა: 9 ქუთაისიდან და 11 თბილისიდან. 4 ნოემბერს "ქალთა აკადემია" ოფიციალურად გაიხსნა. მონაწილეებს წინ 9 საიტერესო და ნაყოფიერი დღე ელოდა. პრაქტიკული სესიების გარდა, განხორციელდა ვიზიტები კრაკოვის ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციაში „ეფკა“, რომელიც მხოლოდ ქალთა უფლებების დაცვას ემსახურება და სამთავრობო სექტორში (ქ. კრაკოვის „რადა“). ჩატარდა აკადემიური სესიები თემებზე: „ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციები და როლი“, „პოლიტიკური მარკეტინგი და კამპანია“, „ევროპული ფონდები და რესურსები“, „გერბალური და არაგერბალური კომუნიკაცია“, პრაქტიკული უნარ-ჩვევები. სესიებს პოლონეთის დამსახურებული ფასილიტატორები ატარებდნენ - ლუიზა ჩაიკოვსკა, ლუბ ჯასზოვსკი, მაგდა ბარტიზანი, მაგდალენა გორა და ევა რილკო.

სემინარები შემდეგ თემებზე ჩატარდა:

- ინტეგრაციის მეთოდები,
- ქარიზმა და ლიდერის თვისებები ადგილობრივ საზოგადოებაში,
- პროექტის მენეჯმენტი,
- ქალთა პროექტები (ქალთა ა/ო „ეფკას“ მაგალითზე),
- ქ. კრაკოვის უმაღლესი თვითმმართველი ორგანო „რადა“, მისი სტრუქტურა და მენეჯმენტი,
- „ოქსფორდის დებატები“,
- ევროკავშირის მოქალაქეობა და რესურსები,
- ლიდერი, როგორც პროფესიონალი,
- ქალის წარმატება ადგილობრივ თვითმმართველობაში
- ადგილობრივ მედიასთან ურთიერთობა და როგორ მოვამზადოთ პრეზენტაცია ქართველი მონაწილეების მაღალმა მოტივაციამ და აქტიურობამ განაპირობა მისი 2009 წელს შესაძლო გაგრძელების იდეის წარმოშობა.

აკადემიის დასრულებისას, მისმა მონაწილეებმა იგრძნეს მეტი პასუხისმგებლობა, ჩამოიტანონ და ადგილობრივ ქალთა საზოგადოებას, ადგილობრივ მთავრობას გაუზიარონ ის ცოდნა და გამოცდილება, რაც მათ ამ პროექტში მონაწილეობით მიიღეს.

- როგორც წინა ანგარიშში აღნიშნე, სააგენტოების ასოციაცია მონაწილეობდა საქართველოში ევროკომისიის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში. აღნიშნულმა პროექტმა წარმატებით გაიარა შერჩევის რამოდენიმე ეტაპი, თუმცა სამწუხაროდ საბოლოოდ ეტაპზე ის არ იქნა დაფინანსებული. აღნიშნული პროექტი იქნება დამუშავებული და წარედგინება სხვა ადგილობრივ და ევროპულ დონორ ორგანიზაციებს.
- ანგარიშის ბოლოს მინდა მოგაწოდოთ სასიხარულო ინფორმაცია. ქალაქის თვითმმართველობის გადაწყვეტილებით სააგენტოს გამოეყო 2 ოთახი საოფისედ ახალგაზრდული საქმეთა დეპარტამენტის შენობაში 4-ე სართულზე. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს ვინაც მონაწილეობა მიიღო ამ გადაწყვეტილების მიჭებაში. აქვე მინდა თხოვნით მივმართო პარტნიორებს რათა დაგვეხმარონ ახალი ოფისისათვის საჭირო სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და ავეჯის შექენის თანხების მოძიებაში. წინასწარი შეფასებით ეს თანხა შეადგენს დაახლოებით 5000 ევროს. ვიმედოვნებ რომ ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ აღნიშნული პრობლემების გადაჭრას.

3. სამომავლო გეგმები

- მუშაობა 2008 წლის შემაჯამებელ ანგარიშზე
- ახალი ოფისისათვის საჭირო თანხების მოძიება
- პროექტების მომზადება

დანართი 1

საერთო კრების ოქმი №3

2008 წლის 31 ოქტომბერს ქალაქ მონფალკონეში, იტალია, მისამართზე: პიაზა დელლა რეპუბლიკას ქ. № 8, ჩატარდა „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს“ წევრთა რიგითი მესამე კრება.

კრებას ესწრებოდნენ:

1. პერ ვინტერი („ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია, „ადსა“)
2. ანტონელა ვალმორბიდა („ადსა“)
3. სტანკა პარაჩი („ადსა“)
4. იოსებ ხახალეიშვილი (ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო“)
5. დავიდ მეიერი (ქ. ნიუპორტის ქალაქის საბჭო და ნიუპორტ-ქუთაისის საერთაშორისო ასოციაცია)
6. ლუჩიო გრეგორეტტი (ქ. მონფალკონეს ქალაქის საბჭო)
7. კიარა ვალდესოლო (ქ. მონფალკონეს ქალაქის საბჭო)
8. ნაველ რაფიკ ელმრინი (ქ. სტრასბურგის ქალაქის საბჭო)
9. ნუგზარ შამუგია (ქ. ქუთაისის მერი)
10. ნოდარ ჯიქია („საიას“ ქუთაისის ოფისის ხელმძღვანელი)
11. სოფიო შუბლაძე (პარტნიორები-საქართველო)
12. ლალი უნაფქოშვილი (ქ. თბილისი – საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილება)
13. აკაკი სეფერთელაძე (ქ. თბილისი მერიის ადმინისტრაცია)
14. მარიამ ტყეშელაშვილი (ქუთაისი-ნიუპორტის საერთაშორისო ასოციაცია)
15. ალესანდრო ფერელი (ფრიული-ვენეცია ჯულიას რეგიონის ოფიცერი)

სააგენტოს წესდების 6-ე მუხლის თანახმად კრება არის გადაწყვეტილებაუნარიანი.

სააგენტოს წევრთა შეხვედრის საერთო კრების დღის წესრიგი:

1. მისალმება
2. თაგმჯდომარისა და მდივნის არჩევა
3. აღმასრულებელი დირექტორის ანგარიშის მოსმენა, დამტკიცება
4. სააგენტოების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის ანტონელა ვალმორბიდას გამოსვლა
5. კოფე ბრეიკი
6. სააგენტოს წესდებაში შესატანი ცვლილებების განხილვა დამტკიცება
7. გამგეობის წევრთა კანდიდატურის დასახელება, კენჭისყრა
8. სადილი
9. საქართველოში ქ. ქუთაისში მცხოვრებ დევნილთა დახმარებების საკითხის განხილვა, გადაწყვეტილების მიღება
10. სააგენტოს მომავალი საქმიანობების განსაზღვრა და პარტნიორთა ჩართვა, ღია დისკუსია
11. კრების დახურვა

1. დღის წესრიგის პირველ საკითხი

2. დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით, სააგენტოს საერთო კრებას თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სააგენტოს გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნი დევიდ მეიერი, ხოლო მდივნად არჩეულ იქნა - კიარა ვალდესოლო

3. დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით სააგენტოს საერთო კრებას აღმასრულებელმა დირექტორმა იოსებ ხახალეიშვილმა წარადგინა სააგენტოს ანგარიში,

ჩატარდა კენჭისყრა, ანგარიშის დამტკიცების შესახებ:

მომხრე -- ერთხმად
წინააღმდეგი --- არავინ

მიღებული იქნა გადაწყვეტილება და სააგენტოს მესამე საერთო კრების მიერ დამტკიცებულ იქნა ანგარიში.

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხზე, საერთო კრების წინაშე მოხსენებით გამოვიდა სააგენტოების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის ანტონელა ვალმორბიდა. მან შეხვედრის მონაწილეებს გააცნო „ადსას“ და „ადს საქართველოს“ თანამშრომლობის მიზნები და ერთობლივი საქმიანობები. აგრეთვე მოკლედ მიმოიხილა სააგენტოს მომავალი საქმიანობები და აღნიშნა პარტნიორთა როლის მნიშვნელობა სააგენტოს საქმიანობების წარმატებულად წარმართვაში.

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სააგენტოს წესდების ახალ რედაქციას მოხსენებით გამოვიდა დევიდ მეიერი, რომელმაც წარმოადგინა წესდების ახალი რედაქცია. ჩატარდა კენჭისყრა, წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ:

მომხრე -- ერთხმად
წინააღმდეგი --- არავინ

შეხვედრის მონაწილეთა 50%-ზე მეტმა დაამტკიცა სააგენტოს წესდება ახალი რედაქციით.

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით სააგენტოს 8-ე მუხლის თანახმად სააგენტოს გამგეობა შედგება მუდმივი უფლებამოსილების მქონე წევრებისაგან (წევრი ქალაქების თვითმმართველობის წარმომადგენლები). და სამი წევრისაგან (სააგენტოს წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები) სააგენტოს გამგეობის მუდმივი წევრები არიან:

1. ქ. ნიუპორტი
2. ქ. მონფალკონე
3. ქ. სტრასბურგი
4. ქ. ნანტი
5. ქ. ქუთაისი
6. ქ. თბილისი

დანარჩენი 3 წევრის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად დასახელებულ იქნა გამგეობის წევრთა შემდეგი კანდიდატურები:

1. ადგილობრივი მმართველობის ეროვნული ასოციაცია
2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (ქუთაისის ოფისი)
3. ქუთაისი-ნიუპორტის საერთაშორისო ასოციაცია

ჩატარდა კენჭისყრა და გამგეობის წევრებად მიღებულ იქნენ:

1. ადგილობრივი მმართველობის ეროვნული ასოციაცია
2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (ქუთაისის ოფისი)
3. ქუთაისი-ნიუპორტის საერთაშორისო ასოციაცია

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან საქართველოში ქ. ქუთაისში მცხოვრებ დევნილთა დახმარებების საკითხის განხილვა, გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით მოხსენებით გამოვიდა ბ-ნი ნუგზარ შამუგია.

მიღებულ იქნა შემდეგი რეკომენდაცია, რომ „ადს საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი დაუკავშირდება „ადსას“ და „ადს საქართველოს“ პარტნიორებს. მოიწვევს და ჩართავს მათ ქუთაისში და იმერეთში განსახლებულ დევნილთათვის მხარდაჭერის მიზნით განსახორციელებელ ფონდების მოზიდვის კამპანიაში.

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით:

მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილება: „ადს საქართველოს“ მომავალი პრიორიტეტებია ადგილობრივი მთავრობის შესაძლებლობათა ამაღლება, ახალგაზრდობისა და ქალთა საზოგადოების გაძლიერება და იმ საქმიანობების განხორციელება, რომელიც აქტიურ მოქალაქეობას შეეხება.

9. კრების დახურვა. შეხვედრა შეჯამდა კრების თავჯდომარის მიერ და გადაწყვეტილებები დაამტკიცა ყველა მონაწილემ.

დევიდ მეიერი,
საერთო კრების თავჯდომარე

კიარა ვალდესოლო,
საერთო კრების მდივანი

ქ. მონფალკონე, იტალია

31/10/2008

დანართი 2

გამგეობის სხდომის ოქმი №1

სააგენტოს წესდების 8-ე მუხლის თანახმად, 2008 წლის 31 ოქტომბერს ქალაქ მონფალკონეში, იტალია, მისამართზე: პიაზა დელლა რეპუბლიკას ქ. № 8, ჩატარდა „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს“ გამგეობის კრება.

კრებას ესწრებოდნენ:

1. დავიდ მეიერი (ქ. ნიუპორტის ქალაქის საბჭო და ნიუპორტ-ქუთაისის საერთაშორისო ასოციაცია)
2. ლუჩიო გრეგორეტი (ქ. მონფალკონეს ქალაქის საბჭო)
3. იოსებ ხახალეიშვილი (ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო)
4. ანტონელა ვალმორბიდა („ადსა“)
5. ნაველ რაფიკ ელმრინი (ქ. სტრასბურგის ქალაქის საბჭო)
6. ნუგზარ შამუგია (ქ. ქუთაისის მერი)
7. ნოდარ ჯიქია („საიას“ ქუთაისის ოფისის ხელმძღვანელი)
8. სოფიო შუბლაძე (პარტნიორები-საქართველო)
9. აკაკი სეფერთელაძე (ქ. თბილისი მერიის ადმინისტრაცია)
10. მარიამ ტყეშელაშვილი (ქუთაისი-ნიუპორტის საერთაშორისო ასოციაცია)

გამგეობის თავმჯდომარეს სააგენტოს წესდების 9.1. მუხლის შესაბამისად წარმოადგენს დავიდ მეიერი, რომელიც არის სააგენტოს სააგენტოს ლიდერი წევრის წარმომადგენელი, ხოლო მდივნად არჩეულ იქნა --- კიარა ვალდესოლო

გამგეობის წევრთა მიერ ერთხმად დამტკიცებულ იქნა დღის წესრიგი.

გამგეობის დღის წესრიგი

1. აღმასრულებელი დირექტორის კანდიდატურის დამტკიცება
2. საწევროს ოდენობის განსაზღვრა
3. LDA-ს მონაწილეობის მიღება ახალი არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნებაში სააგენტოს წესდების 8.3. მუხლის "თ" ქვეპუნქტის შესაბამისად.
4. გამგეობის თავმჯდომარის თანხმობა, რომ ცვლილებები სააგენტოს სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში განახორციელოს აღმასრულებელმა დირექტორმა იოსებ ხახალეიშვილმა და გამგეობის თავმჯდომარის დავიდ მეიერის ფაქსიმილის დამტკიცება.

1. ბატონმა დავიდ მეიერმა დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით რაც წარმოადგენს აღმასრულებელი დირექტორის კანდიდატურის დამტკიცებას 1 წლის ვადით წესდების 8.3. მუხლის "გ" პუნქტისა და 10.4. მუხლის საფუძველზე გამგეობას წარუდგინა იოსებ ხახალეიშვილის კანდიდატურა, ჩატარდა კენჭისყრა:

მომხრე -- ერთხმად
წინააღმდეგი --- არავინ

დამტკიცდა რომ სააგენტოს გამგეობის მიერ აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე დამტკიცებულ იქნა იოსებ ხახალეიშვილი- 2009 წლის იანვრიდან 1 წლის ვადით.

2. გამგეობის დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ანტონელა ვალმორბილამ, რომელმაც წესდების 8.3. მუხლის "ო" ქვეპუნქტის საფუძველზე მოითხოვა რომ გამგეობამ განსაზღვროს საწევრო შენატანის ოდენობა.

დამტკიცებულ იქნა, რომ საზოგადოების საწევრო შენატანი განსაზღვროს შემდეგი ოდენობით:

- საერთაშორისო წევრი ქალაქებისთვის: : 5,000 ევრო(€) წლიური საწევრო შენატანი
- არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის: 50 ევრო(€) წლიური საწევრო შენატანი
- ქუთაისისა და თბილისისათვის: არაფულადი კონტრიბუცია წლიური საწევრო შენატანის სახით 2009 წლის მაისამდე

3. გამგეობის დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა აღმასრულებელმა დირექტორმა ბატონმა იოსებ ხახალეიშვილმა, რომელმაც დამსწრეებს გააცნო ახალი არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნებაში ერთ ერთ დამფუძნებლად „ადს საქართველოს“ მონაწილეობის განხილვა სააგენტოს წესდების 8.3. მუხლის "თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ჩატარდა კენჭისყრა:

მომხრე -- ერთხმად
წინააღმდეგი --- არავინ

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რომ სააგენტოს წესდების 8.3. მუხლის "თ" ქვეპუნქტის თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნებაში ერთ ერთ დამფუძნებლად მონაწილეობა მიიღოს „ადს საქართველომ“. ამასთან უფლებამოსილება მიენიჭა აღმასრულებელ დირექტორს ბ-ნ იოსებ ხახალეიშვილს „ადს საქართველოს“ სახელით სადამფუძნებლო დოკუმენტაციაზე ხელის მოწერის თაობაზე.

4. გამგეობის დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამგეობის თავმჯდომარის დევიდ მეიერის თანხმობითა და გამგეობის წევრთა მოთხოვნით ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და დაევალა სააგენტოს აღმასრულებელ დირექტორს ბ-ნ იოსებ ხახალეიშვილს, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს საქართველოს სარეგისტრაციო/სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში სააგენტოს სამეწარმეო რეესტრში ცვლილებათა განხორციელება და მიენიჭა უფლებამოსილება, რომ სააგენტოს გამგეობის თავმჯდომარის ნაცვლად მოაწეროს ხელი ცვლილებათა პაკეტს.

ამასთან, ამავე ოქმის საფუძველზე, სააგენტოს გამგეობის თავმჯდომარე მე, დევიდ მეიერი ვადასტურებ, რომ საქმიან ურთიერთობებში გამოვიყენებ აღნიშნულ ხელისმოწერას.

დევიდ მეიერი,
საერთო კრების თავმჯდომარე

კიარა ვალდესოლო,
საერთო კრების მდივანი

ქ. მონფალკონე, იტალია

31/10/2008